08.12.2008: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №26

08 დეკემბერი, 2008
ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს სხდომის მდივნის არჩევა.

2. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინების განხილვა გიორგი ნახუცრიშვილისათვის აკადემიურ საბჭოში ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. პაატა ბუხრაშვილის წარდგინების განხილვა პროფესორ შუქია აფრიდონიძის აკადემიურ საბჭოში ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

3. ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის, უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის, ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფიზიკა მათემატიკის ფაკულტეტის, ჰუმანიტრულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება;

4. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების წესის დამტკიცება;

5. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამტკიცება.

6. მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის "ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრის " პროფესიული პროგრამების, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გადატანა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე.

7. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბანკო და საფინანსო საქმის მილევადი პროგრამის, ტურიზმის მენეჯმენტის მილევადი პროგრამის, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის, სამართლის საბაკალავრო პროგრამის, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის გადატანა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. ნათელა იმედაძე - სხდომის მდივანი
3. შუქია აფრიდონიძე
4. გიორგი ნახუცრიშვილი

2008 წლის 08 დეკემბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. აკადემიური საბჭოს მდივნის მოვალეობას დროებით შეასრულებს ნათელა იმედაძე;

2. ქალბატონ შუქია აფრიდონიძეს და ბატონ გიორგი ნახუცრიშვილს გაუგრძელდეს ვადა აკადემიურ საბჭოში ახალი წევრების არჩევამდე.

3. დამტკიცდეს ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, ფიზიკა - მათემატიკის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ათი სადოქტორო პროგრამა (ასტროფიზიკაში, ბიოფიზიკაში, გამოთვლით მათემატიკაში, მზის ფიზიკაში, პლაზმის ფიზიკაში, ასტრონომია - ასტროფიზიკაში, გეომეტრიასა და ტოპოლოგიაში, ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკასა და კოსმოლოგიაში, უმაღლესი მათემატიკის სწავლების მეთოდიკასა და ნანოფიზიკაში), ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხუთი სადოქტორო პროგრამა (ალპური მცენარეულობის ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და ევოლუციური ბიოლოგია, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი, მოლეკულური ენტომოლოგია, მცენარეთა მრავალფეროვნება და ტაქსონომია).

4. ხარისხის მართვის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ორი სადოქტორო პროგრამისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამების დამტკიცება არსებული ხარვეზების გამო გადაიდოს აკადემიური საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

5. განათლების ფაკულტეტმა უახლოეს აკადემიურ საბჭოზე წარმოადგინოს სადოქტორო პროგრამები დასამტკიცებლად.

6. დამტკიცდეს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების წესი.

7. დამტკიცდეს ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა და აღნიშნული პროგრამა გადავიდეს ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე.

8. დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ორი პროგრამა: "ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრის" პროფესიული და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა გადავიდეს ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე.

9. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბანკო და საფინანსო საქმის მილევადი პროგრამა, მილევადი პროგრამა ტურიზმის მენეჯმენტში, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამა, სამართლის საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა გადავიდეს ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე.

სხდომის თავმჯდომარე: გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი: ნათელა იმედაძე